

ბუნებრივი გაზის სექტორში არსებული უსაფრთხოების ნორმების  
პოლიტიკის პრაქტიკის დადებითი და უარყოფითი ასპექტების შეფასება.

სალომე ქურდაძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის  
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე საჯარო პოლიტიკის  
ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების  
შესაბამისად*

საჯარო პოლიტიკის ადმინისტრირება

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ლარისა პატარაია , დოქტორანტი და მოწვეული  
ლექტორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2020

## განაცხადი

*როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.*

სალომე ქურდაძე

9.07.2020

## აბსტრაქტი

აღნიშნული ნაშრომი ეძღვნება საქართველოში, ბუნებრივი გაზის სექტორში არსებული უსაფრთხოების ნორმების პოლიტიკის პრაქტიკის დადებითი და უარყოფითი ასპექტების შეფასებას. ბოლო დროს არსებული ავარიული სიტუაციების ზრდამ გამოიწვია მოქალაქეთა დაზარალება და მათი უსაფრთხოება, ბევრჯერ კითხვის ნიშნის ქვეშ დადგა. ეს მდგომარეობა უკავშირდება არსებული კანონმდებლობის არასრულფასოვნებასა და გაუმართაობას.

წარმოდგენილი კვლევის მიზანია დაადგინოს საქართველოში, გაზის სექტორში უსაფრთხოების ნორმების პოლიტიკის პრაქტიკის დადებითი და უარყოფითი ასპექტები და ასევე, დაადგინოს კონკრეტული გამოწვევები, რომელიც არსებობს მოქმედი კანონმდებლობის ევროპულ სტანდარტებთან ჰარმონიზაციის პროცესში.

ამოცანები: მეორადი ინფორმაციის კვლევა - არსებულ თემასთან დაკავშირებით გავეცანი საკანონმდებლო ბაზას, ნორმატიულ დოკუმენტაციას, ქართულ და უცხოენოვან ლიტერატურას, რომელიც ეხებოდა გაზის უსაფრთხოების ნორმებს. თეორიული მიმოხილვის პრაქტიკული მიგნებებით გასამყარებლად შევიმშავე კითხვარი, რომლის მიხედვითაც ჩატარდა სიღრმისეული ინტერვიუები გაზის სექტორში მომუშავე სპეციალისტებთან. დღეს აქტიური განაშენიანების პროცესი მიმდინარეობს დედაქალაქში, ეს პირდაპირპროპორციულ გავლენას ახდენს ახალი აბონენტების რაოდენობაზე. ლიცენზიანტ კომპანიებს უწევთ ახალაშენებული საცხოვრებელი ტერიტორიები უზრუნველყონ ბუნებრივი გაზით. აქედან გამომდინარე კვლევის გეოგრაფიულ არეალად აღებულია საქართველოს დედაქალაქი - თბილისი. კვლევისათვის განისაზღვრა თვისებრივი კვლევის მეთოდი.

გამოიკითხა: ენერგეტიკის ექსპერტი, ენერგომომზადებელი, იურისტი, აღმასრულებელი და საკანონმდებლო ორგანოს წარმომადგენლები.

კვლევის საფუძველზე გამოვლინდა, რომ დღეს, გაზის სექტორში არსებული საკანონმდებლო ბაზა ძალიან მწირია და არ არის ნათლად ჩამოყალიბებული ბევრი მნიშვნელოვანი საკითხი. მაგალითად, არ არის დაკონკრეტებული იმ პირის კვალიფიკაცია, რომელიც ასრულებს გაზის ქსელის მონტაჟს და სხვა. არ არსებობს მონიტორინგის სამსახური, რომელიც უდიდესი პოზიტიური ცვლილებების მომტანი იქნება ამ სფეროში. ბელგიისა და დიდი ბრიტანეთის გამოცდილება ამ დადებით მხარეს კარგად აჩვენებს. ასევე, საკანონმდებლო ჩარჩოც არ შეესაბამება ევროპულ სტანდარტებს და საქართველო ბევრი მნიშვნელოვანი გამოწვევის წინაშე დგას/დადგება დირექტივებით გათვალისწინებული მოთხოვნების იმპლემენტირების პროცესში.

ბუნებრივი გაზის სფეროში სწრაფი პროგრესის მისაღწევად, საქართველოს მოუწევს რიგი ღონისძიებების გატარება: პირველ რიგში, სწორი პოლიტიკის გასაზღვრა, მოქალაქეთა და ლიცენზიანტი კომპანიების მომზადება, საჭირო ინფრასტრუქტურით უზრუნველყოფა და სხვა.

ნაშრომში განხილული ყველა საკითხი, კვლევის შედეგები და მიგნებები, ასევე, რეკომენდაციები, იქნება დღევანდელი გაზის სექტორის პოლიტიკის დღის წესრიგისათვის მნიშვნელოვანი და საშუალებას მისცემს დარგის სპეციალისტებს მიიღონ სწორი და მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები.

**ძირითადი საძიებო სიტყვები:** ბუნებრივი გაზი, უსაფრთხოების ნორმები, პოლიტიკა, ლიცენზიანტი კომპანია.

## **Abstract**

This thesis is dedicated to assessing the positive and negative aspects of the practice of security policies in the natural gas sector in Georgia. The recent increase in emergency situations has affected the safety of citizens and their safety has been questioned in many times. To a large extent, this situation is related to the incompleteness and malfunction of the existing legislation.

The aim of this research is to identify the positive and negative aspects of security policy practice in Georgia in the gas sector, and also to identify specific challenges that exist in the process of harmonizing existing legislation with European standards.

The objective is to answer important questions: what are the positive and negative aspects of gas policy practices in terms of safety standards and also, what are the challenges in harmonizing the current legislation of Georgia with European standards.

objectives: Research of Secondary Information - I got acquainted with the existing legal framework, normative documents, Georgian and foreign language literature, which referred to gas safety norms. To support the theoretical findings, I used a questionnaire to conduct in-depth interviews with specialists working in the gas sector. Today, the percentage of active development is high in the capital, which has a direct proportional effect on the number of new subscribers. Licensed companies have to provide new residential areas with natural gas. Therefore, the geographical area of the research is the capital of Georgia - Tbilisi. A qualitative research method was defined for the thesis. Interviewed by: Energy Expert, Energy Ombudsman, Lawyer, representatives of Executive and Legislature.

The research has shown that today, the legislative base in the gas sector is very scarce and many important issues are not clearly defined. There is no monitoring service, that will make the biggest positive changes in this sphere. Also, the existing legal framework does not meet European standards and Georgia will be face with many important challenges in the implementation process of the requirements of the directives.

The research has shown that today, the legislative base in the gas sector is very scarce and many important issues are not clearly defined. For example, the qualification of the person who is working on installation of the gas network, is not specified. There is no monitoring service that will bring the biggest positive changes in this area. The experience of Belgium and the UK shows this positive side well. Also, the legislative framework does not meet European standards and Georgia will be face with many important challenges in the implementation process of the requirements of the directives.

In order to make rapid progress in the field of natural gas, Georgia will have to make important activities: define the right policy, train citizens and licensed companies, provide the necessary infrastructure, and etc.

I think, all the issues discussed in the thesis, results and findings of this research, as well as recommendations, will be important for today's gas sector policy agenda and will allow specialists in this field to make the right and important decisions.

**Key Words:** Natural gas, Safety norms, policy, licensed company.

## მადლობა

აღნიშნული ნაშრომის ავტორი მადლობას უხდის სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელს ლარისა პატარაიას, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარეს რევაზ სოხაძეს, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარეს ლევან ჟორჯოლიანს გაწეული დახმარებისათვის. ასევე კვლევაში მონაწილე ყველა პირს : ენერგომბუდსმენ სალომე ვარდიაშვილს, ენერგეტიკის ექსპერტს გიორგი ჭალიაშვილს, „თბილისი ენერჯი“-ს ტექნიკური დირექტორის მოადგილეს გიორგი ლეფსვენაძეს, იურისტ მალხაზ ძიძიკაშვილს, საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის წარმომადგენელ ოთარ ნარჩემანიძეს.